აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2018- 2024

1.ფაკულტეტის მისია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული, რომელიც სრულად მოქმედებს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე და შესაბამისად ყველა საფეხურის აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებზე ახორციელებს აქტიურ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ინჟინერიის მიმართულებით. ისეთ სპეციალობებზე როგორებიცაა: ენერგეტიკა და ელექტრული ინჟინერია; მშენებლობა; ტრანსპორტი; მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია; საზომი ტექნიკა, ხარისხის კონტროლისა და უზრუნველყოფის ტექნოლოგიები; სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური ინფრასტრუქტურის თანამედროვე დონეზე მოწყობა ეფუძვნება საინჟინრო დარგების მდგრად განვითარებას, შესაბამისად საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი უმაღლესი განათლების ეროვნული და ევროპული სტანდარტების, ასევე საინჟინრო დარგის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით ისწრაფვის სწალების ყველა დონეზე უზრუნველყოს მაღალი ხარისხის საინჟინრო განათლება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს დარგის პროფესიონალები და ლიდერები.

ფაკულტეტი მიზნად ისახავს თავის საქმიანობით წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის გენერირება-გავრცელებას და სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების და კულტურულ და სამეცნიერო მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების პროცესში.

2.ფაკულტეტის ხედვა

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული მოწოდებულია რეგიონის და ქვეყნის მასშტაბით იყოს ლიდერი საინჟინრო კადრების მომზადებასა და სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებაში. იმავდროულად ჰქონდეს სულ უფრო მზარდი საერთაშორისო რეპუტაცია, შეძლოს მოიზიდოს და შეინარჩუნოს მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებული უცხოელი და ადგილობრივი სტუდენტები. წარმართავს თავის საქმიანობას სამოქალაქო საზოგადოების, რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

3. ფაკულტეტის სამოქმედო პრინციპები

ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპები ჩამოყალიბებულია, რათა საფუძველი ჩაუყაროს ჩვენს ღირებულებებზე დაფუძნებულ მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებას იმისათვის, რომ ცხადი გავხადოთ თუ რას ველით საკუთარი თავისა და ერთმანეთისგან, რას ვქმნით საზოგადოებისათვის:

1. პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე - ხარისხიანი ხელმძღვანელობის სისტემა და ხარისხის კულტურა ფაკულტეტის თითოეული წევრის საქმიანობასა და მიმდინარე ყველა პროცესში.

2. საუნივერსიტეტო საზოგადოებაზე, სოციუმზე ორიენტირება - ასაინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის სტრატეგია დაფუძნებულია მაღალმოტივირებული სტუდენტების მოზიდვასა და მაღალკვალიფიციური მკვლევრების ჩართვაზე თითოეულ პროგრამასა და საქმიანობის ყველა სფეროში. ფაკულტეტი ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების განვითარებასა და კეთილდღეობაზე, უზრუნველყოფს მათ ჩართულობას საუნივერსიტეტო მიზნების მიღწევასა და განხორციელებაში.

3. აკადემიური თავისუფლება - ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და სტუდენტები სრულიად თავისუფალნი არიან საკუთარი სამეცნიერო-აკადემიური პროფილის ფორმირებასა და განვითარებაში, ახალი ცოდნის შექმნაში, საზოგადოებაში მისი ღია განხილვისა და გავრცელებისათვის შესაძლებლობების ძიებაში.

4. აკადემიური კულტურა - უნივერსიტეტში არსებული კოლეგიალური გარემო ეფუძნება აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ურთიერთპატივისცემას, ორმხრივ ინტერესს, მხარდაჭერასა და სამართლიან ურთიერთობებს.

5. *ღიაობა და მრავალფეროვნების პატივისცემა* - უნივერსიტეტის ყველა წევრისათვის (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვ.) თვითრეალიზაციის თანაბარი პირობების შექმნის მხარდაჭერა.

6. სრულყოფილებისაკენ სწრაფვა - კვლევა ქმნის საფუძველს ფაკულტეტზე სხვადასხვა აქტივობისათვის, მათ შორის პროგრამების განვითარებისა და საზოგადოებისათვის ცოდნის გავრცელების მრავალფეროვანი ფორმების შესათავაზებლად (ფორმალური და არაფორმალური განათლება, დისტანციური და ელ- სწავლება, უწყვეტი განათლება და ა.შ.).

7. ერთიანობა - თანამშრომლებს შორის ღია კომუნიკაცია, კოლეგიალურობა, გუნდური მუშაობა, ჰარმონიული და დინამიური ურთიერთობები.

8. ხარისხზე ორიენტირება - მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სწავლა/სწავლების, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში

4. არსებული სიტუაცია და გამოწვევები

4.1. ფაკულტეტის ისტორია

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი ჩამოყალიბდა ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნიკური მიმართულების ფაკულტეტების ბაზაზე.

ქუთაისში პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ოფიციალური სტატუსი 1973 წლის 23 სექტემბერს მიენიჭა და იგი 1974 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა. სასწავლებელს 1977 წელს აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის სახელი მიენიჭა. 1992 წლის 21 სექტემბერს ქუთაისის ნ.მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა და იგი ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტად იწოდებოდა.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №39 დადგენილების თანახმად განხორციელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის რეორგანიზაცია მათი გაერთიანების გზით. საგანმანათლებლო დაწესებულებას სტატუსად განესაზღვრა უნივერსიტეტი და ეწოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

4.2 გარემოს (ჩართული მხარეების) ანალიზი

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული და რეგიონში საინჟინრო-ტექნიკური განათლების გამორჩეული გამავრცელებელი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას ქალაქისა და რეგიონის წინაშე. შესაბამისად საკუთარ საქმიანობას ახორციელებს ძირითად ჩართულ მხარეებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში. აღნიშნული ურთიერთობისას ფაკულტეტს არჩეული აქვს პარტნიორობისა და თანამშრომლობის სტრატეგია.

ფაკულტეტმა უნივერსიტეტის ეგიდით წლების განმავლობაში პარტნიორული ურთიერთობები დაამყარა ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო საზოგადოებებთან და კვლევით ინსტიტუტებთან, ბიზნეს-სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კურსდამთავრებულებთან, მასმედიის საშუალებებთან, სამთავრობო სტრუქტურებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან.

ჩართული მხარეები მონაწილეობას ღებულობენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, პრაქტიკების ორგანიზების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების, სამეცნიერო-კვლევითი და სხვადასხვა აქტუალური პროექტების განხორციელების პროცესში. უნივერსიტეტში არსებული უწყვეტი განათლების ცენტრის ფარგლებში ფაკულტეტის მაღალკვალიფიციური აკადემიური და დამხმარე პერსონალი ახორციელებს დარგის კვალიფიციური კადრების მომზადებასა და გადამზადებას. ასევე, რეგულარულად წარმოებს შეხვედრები დამსაქმებლებთან მათი საჭიროებებისა და შრომის ბაზარზე კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის შესწავლის მიზნით.

რეგიონის საუკეთესო აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით, ფაკულტეტი თანამშრომლობს სტუდენტურ თვითმართველობასან, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

4.3 SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები

- მაღალკვალიფიციური აკადემიური, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალი;
- მაღალი ავტორიტეტი და დადებითი იმიჯი;
- ფაკულტეტზე განხორციელებული აკადემიური პროგრამების და სამეცნიერო კვლევების მიმართულებების პრიორიტეტულობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში.
- აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლების ყველა დონეზე;
- დარგის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებადი პროგრამები;
- რეგიონში ტექნიკური დარგის პრიორიტეტული მიმართულებების პროგრამების განმახორციელებელი ერთადერთი ფაკულტეტი.
- შიგასაუნივესიტეტო და სხვა სამეცნიერო გრანტების მოპოვების მდიდარი გამოცდილება;
- აქტიური თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან.
- მოთხოვნის არსებობა ბაზრის ახალ სეგმენტებზე (კორპორატიული მომსახურება, კონსულტირება, საექსპერტო მომსახურება და სხვა);
- სასწავლო-ლაბორატორიული ბაზის განახლების მიმდინარე პროცესი.

სუსტი მხარეები

- არასაკმარისი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები და ლაბორატორიები;
- სუსტად განვითარებული სტუდენტური სერვისები;
- ელექტრონული ტექნოლოგიებისა და სწავლების თანამდეროვე მეთოდების გამოყენების არასაკმარისი მაჩვენებელი;
- თანამშრომელთა შორის საშუალო ასაკის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი და უცხო ენის (ინგლისური) მცოდნე პერსონალის ნაკლებობა;
- ფაკულტეტზე უცხოენოვანი პროგრამების სიმცირე;
- ერთობლივი კვლევითი სამუშაოების სიმცირე;

- ინტერნაციონალიზაციის დაბალი მაჩვენებელი.

შესაძლებლობები

- რეგიონში არსებული დარგობრივი ბიზნეს გარემოს კვლევა არსებული აკადემიური და პროფესიული პროგრამების მოდერნიზაციის და ახალის (მათ შორის უცხოენოვანი) შექმნის მიზნით;
- სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით დარგის საწარმოებთან თანამშრომლობის გაღრმავება;
- არსებული პროგრამების ანალიზის საფუძველზე მათი მოდერნიზების, შეცვლის ან შეჩერების ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელება;
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მენეჯმენტის სრულყოფა და სტუდენტების ინტეგრირება კვლევებში;
- საექსპერტო საკონსულტაციო და სასერთიფიკაციო მომსახურების განვითარება ფაკულტეტის სამეცნიერო პერსონალის შესაძლებლობების მიხედვით.
- ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა;
- უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა;
- საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება;
- შიგასაუნივერსიტეტო და უნივერსიტეტთაშორისი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;
- ფაკულტეტის მიერ ახალი სერვისების (დისტანციურ სწავლება, არაფორმალური განათლება და სხვა) შეთავაზება, ინფორმაციის გავრცელება და მოთხოვნის ზრდის ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივ და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გააქტიურება;
- კურსდამთავრებულთა ინტეგრირება ფაკულტეტის საქმიანობაში;
- რეგიონში განხორციელებულ ეკონომიკურ და ინფასტრუქტურულ პროექტებში ჩართულობა.

საფრთხეები

- ფინანსური კრიზისის გაღრმავება და მოსახლეობის სოციალური ფონის გაუარესება;
- ფაკულტეტის მიერ განხორციელებად პროგრამებზე მოთხოვნის შემცირება;
- ანალოგიური პროფილის უმაღლესი საგანმანათლებლო ერთეულის შექმნა რეგიონში;
- კონკურენტი უნივერსიტეტების პოპულარობის ზრდა;
- არაკონკურენტული გარემო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ და არადაფინანსებად სპეციალობებს შორის.

4.4 გამოწვევების ანალიზი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ინფრასტრუქტურის თანამედროვე დონეზე მოწყობა ეფუძვნება საინჟინრო დარგების მდგრად განვითარებას. ყოველივე ეს გლობალიზაციის პროცესების გაღრმავებასთან ერთად, უმაღლეს სასწავლებლებს აყენებს ახალი გამოწვევების წინაშე. მათ შორის უმნიშვნელოვანესია პროფესიონალი კადრების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ შრომითი ბაზრის შეცვლილ პირობებში ეფექტიანად მუშაობა.

გლობალიზაცია განათლების სფეროში ახალ შესაძლებლობებს უქმნის საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომელთაგან აღსანიშნავია ფასიან განყოფილებებზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვით ფინანსური შემოსულობების ზრდა, საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება და საკუთარი სტუდენტების სწავლება უცხოეთის პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, სტუდენტებისა და პედაგოგების ცოდნის საერთაშორისო გაცვლის პროცესში ჩართვა და ა.შ.

ფაკულტეტი მუშაობს კონკურენციის პირობებში. დარგის საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების დინამიური განვითარების გზით იგი ღირსეული მონაწილეა აბიტურიენტების მოზიდვისათვის კონკურენტულ ბრძოლაში.

თანამედროვე დინამიურად ცვლადი გარემოს პირობებში ფაკულტეტი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს სწავლა/სწავლების და სამეცნიერო კვლევების პროცესის ხარისხის სრულყოფას და სწავლების ახალი, თანამედროვე ფორმების დანერგვას, დარგობრივი ბაზრის ახალი სეგმენტების ათვისების აუცილებლობას, როგორებიცაა: საექსპერტო მომსახურება, კონსულტირება, კორპორატიული მომსახურეობა და სხვა.

5. სტრატეგიული ამოცანები და მიმართულებები

საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, არსებული პრობლემების და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები 2016-2022 წლებისთვის.

სტრატეგია გამოყოფს 5 ძირითად მიმართულებას. თითოეული მიმართულება მოიცავს სპეციფიურ მოსალოდნელ შედეგებს და მათი მიღწევის გზებს.

სტრატეგიული ამოცანები და მიმართულებები	
1	**სწავლების ხარისხის განვითარება**
	საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.
2	**სამეცნიერო კვლევების დივერსიფიკაცია**
	სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და ოპტიმალური მართვა. სტუდენტების ინტეგრირება კვლევებში. საექსპერტო საკონსულტაციო და სასერთიფიკაციო მომსახურების განვითარება. მიღებული შედეგების კომერციალიზაცია.
3	**ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება**
	საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
4	**საფაკულტეტო სერვისების განვითარება**
	არსებული და ახლად დანერგილი სერვისებისადმი წვდომაში სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერა. სტუდენტური აქტივობების წახალისება. ახალი სერვისების დანერგვის ინიცირება. ინფორმაციის გავრცელება არსებული სერვისების შესახებ.
5	**სასწავლო გარემოს გაუმჯობესება**
	მხარეთა საჭიროებების გათვალისწინება სასწავლო გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებათა დაგეგმვისას.
6	**მართვის სისტემის გაუმჯობესება**
	გამჭვირვალე მმართველობითი სისტემის განვითარება. მართვის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის ხელშეწყობა. ფაკულტეტის მართვის პროცესის განითარებაში სტუდენტების და პერსონალის აქტიური ჩართულობა.

სტრატეგიული მიმართულება #1 სწავლების ხარისხის განვითარება

შედეგები და საკვანძო საქმიანობები:

შედეგი 1.1: თვითშეფასების შედეგების საფუძველზე ჩატარებულია საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია და პროგრამები გაუმჯობესებულია

დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე ფაკულტეტი სასწავლო წლის ბოლოს შეაფასებს აკედემიურ და პროფესიულ პროგრამებს, იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული პროგრამების ოპტიმიზაციის, განვითარების შესაძლებლობის შესახებ ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე და უზრუნველყოფს მათ შემდგომ განხორციელებას.
პროგრამის განვითარების პროცესში შესაძლოა სხვა საგანმანათლებლო, კვლევით, საჯარო და ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და/ან საერთაშორისო პარტნიორების მოზიდვაც.

შედეგი 1.2: მზარდია მაღალმოთხოვნადი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაზრდის და შესაბამისი რესურსების მობილიზაციის მიზნით ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმით დადგენილია პრიორიტეტული მიმართულებები და შესაძლო პარტნიორები ერთობლივი პროგრამების შესაქმნელად. ამ მიზნით მიმდინარეობს სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერება და ახალი კონტაქტების დამყარება.

შედეგი 1.3: გაუმჯობესებულია პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნების, შეფასებისა და განვითარების სისტემა.

ფაკულტეტი უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად ახორციელებს კვალიფიციური აკადემიური პერსონალის (მათ შორის ახალგაზრდა კადრების), პედაგოგებისა და გამორჩეული რანგის სპეციალისტების მოზიდვის, შენარჩუნების, შეფასების, განვითარებისა და კომპეტენციის ამაღლების პოლიტიკას.

ფაკულტეტის სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე შემუშავებულია შეფასების სისტემაზე დაფუძნებული პერსონალის განვითარების სამოქმედო გეგმა და ხდება მისი განხორციელება. შემუშავებული შეფასების სისტემის გამოყენებით ხდება მაღალი შედეგების მქონე პერსონალის გამოვლენა და მათ მიმართ ფაკულტეტზე და უნივერსიტეტში არსებული წახალისების გამჭირვალე მექანიზმების გამოყენება.

პერსონალის განვითარებისა და კომპეტენციების ამაღლებისათვის ფაკულტეტი, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, მისცემს მათ საშუალებას გაიარონ ტრენინგები, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსები. მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში და სტაჟირებებში.

შედეგი 1.4: დახვეწილია ელექტრონული და დისტანციური სწავლა-სწავლების სისტემა

ფაკულტეტი გაზრდის ელექტრონული სასწავლო რესურსების მოცულობას და სასწავლო პროცესში მათი ინტეგრაციის ხარისხს. შეიქმნება დისტანციური სასწავლო კურსები, არაფორმალური განათლების ფარგლებში მათი პილოტირებით. მომზადდება საფუძველი

საინჟინრო მიმართულების დისტანციური პროგრამების ეფექტიანი განვითარებისა და დანერგვისათვის, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ.

სტრატეგიული მიმართულება #2 სამეცნიერო კვლევების განვითარება

შედეგები და საკვანძო საქმიანობები:

შედეგი 2.1: კვლევითი პოტენციალი გაძლიერებულია

დარგის აქტუალური პრობლემების გათვალისწინებით ფაკულტეტი, კვლევითი პროფილის შესაბამისად, განსაზღვრავს პრიორიტეტულ კვლევით მიმართულებებს. კვლევების თემატიკა და მიმართულება უნდა პასუხობდეს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის პრინციპს. აღნიშნულით შესაძლებელი გახდება ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების დაინტერესება/მოზიდვა და თანამშრომლობა. ფაკულტეტი თავისი პოტენციალის გათვალისწინებით ჩაერთვება არსებულ კვლევით ქსელებში.

ფაკულტეტი ხელს შეუწყობს: სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო ინფრასრუქტურის განვითარებას; სამეცნიერო კვლევების შიდასაუნივერსიტეტო და გარე დაფინანსებისათვის საპროექტო წინადადების შემუშავების და წარდგენის, ასევე მიღებული შედეგების კომერციალიზაციის პროცესს; კვლევების შედეგების გასაჯაროების (პუბლიკაციები, დაპატენტება, კონფერენციები და. ა. შ) პროცესს.

მოხდება სადოქტორო პროგრამების ოპტიმიზაცია, ხარისხის შიდა მოთხოვნების გამკაცრება, საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა სადისერტაციო საბჭოებში და/ან თანახელმძღვანელებად და ერთობლივი სადოქტორო პროგრამების შემუშავების ხელშეწყობა, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად.

შედეგი 2.2: წარმოებს რეგიონის განვითარების პოლიტიკისა და პროცესების ხელშემწყობი კვლევები.

ფაკულტეტის კვლევთი მიმართულებები ორიენტირებული იქნება რეგიონში და ქვეყანაში არსებული საინჟინრო ხასიათის მქონე პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაზე. ამ მიზნით ფაკულტეტი ითანამშრომლებს ყველა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციასთან, რომლებიც ჩართული იქნებიან რეგიონის და ქვეყნის განვითარების კონცეფციის შესაბამისი საინჟინრო და ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავება-განხორციელებაში და შესთავაზებს მათ კვლევით პროექტებს ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვან საინჟინრო სფეროში. ფაკულტეტი ხელს შეუწყობს სპეციალური სამეცნიერო ერთეულების შექმნას, რომლებიც განახორციელებენ საინჟინრო ხასიათის საექსპერტო, საკონსულტაციო, სასერთიფიკაციო და სხვა მომსახურებას.

სტრატეგიული მიმართულება #3 : ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება

საგანმანათლებლო სფეროში არსებული კონკურენციის პირობებში ფაკულტეტი, როგორც უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, აცნობიერებს ინტერნაციონალიზაციის უდიდეს მნიშვნელობას.

შედეგები და საკვანძო საქმიანობები:

შედეგი 3.1: მზარდია ადამიანური რესურსების ინტერნაციონალიზაციის პროცესისათვის აუცილებელი კომპეტენციები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უცხო ენების ცოდნის დონის ამაღლებას. ფაკულტეტი უნივერსიტეტის პოლიტიკიდან გამომდინარე მიზნად ისახავს უცხო ენ(ებ)ის ცოდნის დონის მიღწევას ენების ზოგად ევროპულ ჩარჩოსთან მიმართებაში <u>უმაღლესი განათლების საფეხურების მიხედვით C1 ბაკალავრიატის კურსდამთავრებულისთვის, C2 – მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისათვის.</u> შედეგის დადგომის მიზნით ბაკალავრიატის საფეხურზე მოხდება უცხო ენ(ებ)ის დიფერენცირებული კურსების შემუშავება და შეთავაზება. აგრეთვე მოხდება დარგობრივი უცხო ენების კურსების შეთავაზება როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის დონეზე. მოხდება სწავლების პროცესში მეტი უცხოენოვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება.

ფაკულტეტი ხელს შეუწყობს: აკადემიურ და დამხმარე პერსონალს აიმაღლოს კომპეტენციების დონე უცხო ენებში უწყვეტი განათლების პროგრამის ფარგლებში; მონაწილეობას საერთაშორისო პროგრამებსა და პროექტებში; სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებას უცხოენოვანი გამოცემებისათვის; უცხოურ პარტნიორებთან კონტაქტების დამყარებას.

შედეგეი 3.2: საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიციის ხარისხი გაზრდილია

ფაკულტეტი ხელს შეუწყობს არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა და პედაგოგთა ჩაბმას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში; არსებულ უცხოენოვან სადოქტორო პროგრამაზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვას და უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაძლიერებას აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამის ამოქმედების მიზნით.

უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით ფაკულტეტზე ჩატარდება კვლევები უმაღლესი განათლების საფეხურების მიხედვით პრიორიტეტული მიმართულებების დასადგენად. შეფასდება არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების პოტენციალი უცხოელ პარტნიორებთან შესაძლო თანამშრობისათვის.

სტრატეგიული მიმართულება #4 საფაკულტეტო სერვისების განვითარება

შედეგები და საკვანძო საქმიანობები:

შედეგეგი 4.1: უნივერსიტეტში არსებული სერვისები ხელმისაწვდომია ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, აკადემიური და დამხმარე პერსონალისათვის.

ფაკულტეტის სტუდენტების, აკადემიური და დამხმარე პერსონალისათვის რეგულარულად მოხდება საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგების ორგანიზება უნივერსიტეტში არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და მათთან წვდომის უნარების განვითარების მიზნით. სერვისების მოდერნიზაციის და ახალი სერვისების დანერგვის შემთხვევაში ინფორმაცია ოპერატიულად მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეს. ჩატარდება პერიოდული გამოკითხვები სერვისებით კმაყოფილებაზე. მოხდება არსებული სერვისების მოდერნიზაციის და ახალის დანერგვის შესახებ წინადადებების ანალიზი და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენა.

ფაკულტეტი სტუდენტურ თვითმართველობასთან და ტუტორებთან თანამშრომლობით მხარს დაუჭერს კურიკულუმით და კურიკულუმის გარეშე დაგეგმილ სტუდენტურ აქტივობებს.

თავისი საქმიანობის ფარგლებში ფაკულტეტი (პარტნიორებთან, კურსდამთავრებულებთან, ურთიერთობა, სტუდენტთა და პერსონალის აქტივობა) განახორციელებს ინფორმაციის გავრცელებას უნივერსიტეტში არსებული სერვისების შესახებ.

შედეგი 4.2: სტუდენტთა კარიერული განვითარების სერვისი შემუშავებული და დანერგილია

ფაკულტეტი უნივერსიტეტის კარიერის დაგეგმვის ცენტრთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს დამსაქმებლების შესახებ ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას და გავრცელებას. ჩამოყალიბდება დამსაქმებლების განახლებადი მონაცემთა ბაზა. ფაკულტეტი მონაწილეობას მიიღებს პოტენციური დამსაქმებლის მოზიდვისა და მოტივაციის საუნივერსიტეტო სისტემის ფორმირებაში.

შედეგი 4.3: დანერგილია მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების (Lifelong Learning) სერვისები

საუნივერსიტეტო საზოგადოების, ბიზნესის და რეგიონის მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით ფაკულტეტი განახორციელებს აკადემიური და პროფესიული განვითარების პროგრამების მიწოდებას. აკადემიური და პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირება მოხდება კვლევის საფუძველზე.

შედეგი 4.4: უზრუნველყოფილია ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო პროცესებში ჩართულობა

კურსდამთავრებულთა ქსელის და მათთან კომუნიკაციის არხის განვითარების მიზნით ფაკულტეტზე შეიქმნება განახლებადი მონაცემთა ბაზა. დადგენილი პერიოდულობით ჩატარდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვები. მოხდება კურსდამთავრებულთა აქტივობის გაძლიერება კარიერის დაგეგმვის ცენტრთან თანამშრომლობის, საგანმანათლებლო, სოციალურ და კვლევით პროექტებში ჩართულობის, ფაკულტეტის ინფორმაციული პოლიტიკის განხორციელების კუთხით.

სტრატეგიული მიმართულება #5 სასწავლო გარემოს გაუმჯობესება

შედეგები და საკვანძო საქმიანობები:

შედეგი 5.1: გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან კოორდინაციაში ფაკულტეტზე აუდიტორიებისა და სასწავლო ლაბორატორიებისათვის განისაზღვრება აღჭურვის სტანდარტი, გამოვლინდება პრიორიტეტები და შემუშავდება აღჭურვის საშუალო ვადიანი გეგმა. გეგმის მიხედვით მოხდება მატერიალური ბაზის მოდერნიზაცია.

სტუდენტთა, აკადემიური და დამხმარე პერსონალის საჭიროებებიდან გამომდინარე განისაზღვრება და ადმინისტრაციას წარედგინება ფაკულტეტის ხედვა საბიბლიოთეკო სივრცისა და აღჭურვილობის გაუმჯობესების, გარე და შიდა რეკრეაციული სივრცეების განვითარების, კვების ობიექტების, სპორტული და კულტურული აქტივობებისათვის განკუთვნილი სივრცეების მოწყობის თაობაზე.

სტრატეგიული მიმართულება #6 მართვის სისტემის გაუმჯობესება

შედეგები და საკვანძო საქმიანობები:

შედეგი 6.1: დანერგილია სტრუქტურული ოპტიმიზაციის ღონისძიებები და განმტკიცებულია ანგარიშვალდებულების სისტემა

ფაკულტეტის მისიისა და სტრატეგიის შესაბამისად შეიქმნება ფაკულტეტის სტრუქტურული მოწყობის გაუმჯობესების პროექტი, რომლის განხორციელება მოხდება ადმინისტრაციასთან კოორდინაციაში. პროცესი წარიმართება ფაკულტეტის პერსონალისა და სტუდენტების აქტიური ჩართულობით.

პროექტში გათვალისწინებული იქნება პროფესიული და არაფორმალური განათლების პროგრამების მიწოდების ოპტიმალური სისტემა.

მართვის პროცესის და დაგეგმილი შედეგების მუდმივი შეფასება და გაუმჯობესება ხდება უნივერსიტეტში შემუშავებული ხარისხის მართვის ერთიანი კომპლექსური სახელმძღვანელოს მიხედვით.

შედეგი 6.2: აქტიურად გამოიყენება პროცესების მართვის ელექტრონული სისტემები

ფაკულტეტი აქტიურად გამოიყენებს უნივერსიტეტში დანერგილ პროცესების მართვის ელექტრონულ სისტემებს და ფაკულტეტის პერსონალს უწევს ინფორმაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას აღნიშნული სისტემების გამოყენებაში. აქტიურად მონაწილეობს არსებული სისტემების შეფასების და მოდერნიზაციის პროცესში.